

ფინანსური ანგარიშგება

შპს „კაუკაზუს რეიზენ“

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
3. სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	430217	388985
სავაჭრო მოთხოვნები	4	25193	10310
გადახდილი ავანსები	4	0	00
მარაგები	5	17860	12321
სხვა მიმდინარე აქტივები		2667	2056
სხვა არამატერიალური აქტივები	7	899	1067
ძირითადი საშუალებები	6	117542	124962
სულ აქტივები		594378	539701
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	52609	17497
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8		
საგადასახადო ვალდებულებები	8		
სხვა ვალდებულებები	8	170946	127491
სულ ვალდებულებები		223555	144988
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		370823	394713
სულ საკუთარი კაპიტალი		370823	394713
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		594378	539701

2.მოგება ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება	შენიშვნა	2019	2018
ნეტო ამონაგები	9	4813416	3295142
საქონლის გაყიდვიდან		145	4593
მომსახურების გაწევიდან		4813271	3290549
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		4813416	3295142
სხვა შემოსავალი	10	30850	-15747
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-663532	-721425
ცვტა და ამორტიზაცია	11	-20925	-19508
საპროცენტო შემოსავალი:		0	0
იჯარის ხარჯი	11	-13000	-12750
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-3610702	-2413355
სულ საოპერაციო ხარჯები		-4277309	-3182785
საოპერაციო მოგება		536107	112357
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		536107	112357
მოგების გადასახადი	12	-88510	-37218
მოგება/(ზარალი)		447597	75139
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		447597	75139
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		394713	539981
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-484984	-188052
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		13497	-32355
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		370823	394713

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კაუკაზუს რეიზენ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, ა. საიათნოვას ქ., N 17 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანიის ძირითადი საქმიანობა 2012წ-დან, 2019წ -ჩათვლით საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურეობის პაკეტის მიწოდება

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურეობის რეალიზაცია -საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანა და მათთვის ტურისტული მომსახურეობის პაკეტის

მიწოდება, მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება ქემით -სალარო აპარატის საშუალებით,უნაღდო ანგარიშსწორებით და პოსტერმინალის საშუალებით .

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო -მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების

ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღირიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც

შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 3-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

არამატერიალური აქტივები

კომანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია , ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	40682	22372
ფული საბანკო ანგარიშებზე	389535	366613
სულ	430 217	388 985

შენიშვნა 4**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	25 193	10 310
გადახდილი ავანსები	0	0
სულ	25 193	10 310

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 0 ლარის ოდენობით (2019 წელს 0 ლარი).

შენიშვნა 5**მარაგები**

	2019	2018
საქონელი	17860	12321
ნედლეული და მასალები		
სულ	17860	12321

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 67411 ლარი.

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.დეკ.18	9 862	28 771	7 345	12 611	112 700	171 289
შემოსვლა		11 608	1 405			13 013
გასვლა						0
31.დეკ.19	9 862	40 379	8 750	12 611	112 700	184 302
ცვეთა და გაუფასურება						
31.დეკ.18	-2301,00	-10542,00	-2687,00	-3948,00	-26849,00	-46327,00
პერიოდის ცვეთა	-1498,00	-5584,00	-1220,00	-1760,00	-10370,00	-20432,00
გასვლა						
31.დეკ.19	-3799,00	-16126,00	-3907,00	-5708,00	-37219,00	-66759,00
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.დეკ.18	7 561	29 837	6 063	8 663	85 851	137 975
31.დეკ.19	6 063	24 253	4 843	6 903	75 481	117 543

შენიშვნა 7

არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
31.დეკ.18	1 478	1 478
შემოსვლა	324	324
გასვლა		
31.დეკ.19	1 802	1 802
ცვეთა და გაუფასურება		-
31.დეკ.18	-411	-411
პერიოდის ცვეთა	-493	-493
გასვლა		-
31.დეკ.19	-904	-904
წმინდა საბალანსო ღირებულება		-
31.დეკ.18	1 067	1 067
31.დეკ.19	898	898

შენიშვნა 8**სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	52609	17497
სხვა ვალდებულებები მომსახურებიდან	0	0
მიღებული ავანსები	170 946	127 491
გადასახადელი ხელფასები	0	0
ვალდებულება დამფუძნებლის წინაშე	0	0
საგადასახადო ვალდებულება	-899	-10 067
სულ	222 656	134 921

შენიშვნა 9**ამონაგები**

	2019	2018
მომსახურების გაწევა	4 813 271	3295142
ტურისტული სმფ გაყიდვა	145	4593
სულ	4 813 416	3 299 735

შენიშვნა 10**სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო**

	2019	2018
კურსთაშორის სხვაობა (დადებითი+, უარყოფითი -)	30850	-15747
სულ	30 850	-15 747

შენიშვნა 11
სხვა ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	663532	745558
საპენსიო ანარიცხები	5941	-
საიჯარო ქირა	13000	12750
კომუნიკაციის ხარჯები	10722	9766
კომუნალური ხარჯები	449	514
დაზღვევა	4201	1280
კომპიუტერის ხარჯები	54	1243
საკონსულტაციო ხარჯები	2116	106
სხვა საგადასახადო ხარჯი	1895	1236
საბანკო მომსახურება	7662	5591
საკანცელარიო ხარჯები	795	540
საოფისე ხარჯები	485	263
დარიცხული ცვეთა გრძელვადიან აქტივებზე	20 925	19508
რემონტის ხარჯი	0	323
კურსთაშორის სხვაობა	-30850	15747
სხვა საოპერაციო ხარჯები	3576382	2368360
სულ	4 277 309	3 182 785

შენიშვნა 12
სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019	2018
მოგების გადასახადის ხარჯი	88510	37212
სულ	88 510	37 212

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი/ვა.  *Hans Kinner Buhl*